პარასკევი, 1918 წ. მაისის 31 № 105

პარასკევი, 1918 წ. მაისის 31 № 105

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ, რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ ივნისიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ ძვირია. ხანგრძლივათ განცხადება თითოეულ ნომრით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრ. ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები:

ბათომში ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით საზავო დელეგაცია გაემგზავრა; დელეგაციაში შედიან: გენ. ოდიშელიძე, გ. გვაზავა და გრ. რცხილაძე. გერმანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, უზრუნველჰყოფს საქართველოს საზღვრებს და იშუამდგომლებს ოსმალეთთან და რუსეთთან მოლაპარაკების დროს.—გერმანელები დასავლეთის ფრონტზე დიდ გამარჯვებას აღნიშნავენ; ტყვედ უგდიათ 15 ათასზე მეტი კაცი.

## საქართველოს ერები.

საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეეგებნენ საქართველოში მცხოვრებნი უცხო ეროვნებანი და აგრეთვე ჩვენი მახლობელი და შორეული მეზობლები.

საქართველოს დამოუკიდებლობას 26 მაისსავე მიესალმა ამიერ-კავკასიის თათრობის სახელით ეხლა უკვე აზერბეიჯანის მთავრობის მეთაური ხოის ხანი. მისალმება იყო გულწრფელი და სავსებით შეეფერებოდა იმ მეგობრულს განწყობილებას, რომელიც არა დღეს და არა რევოლუციის დროს მხოლოდ, არამედ მრავალ წელთა განმავლობაში მყარდებოდა ქართველ ერსა და მის მეზობელ თათართა შორის. ჩვენს განთავისუფლებას მხურვალედ მიესალმა პოლონელი წარმომადგენელი. თანაგრძნობა და კეთილი სურვილები გამოგვიცხადა ამიერ-კავკასიაში მცხოვრებთ გერმანელების წარმომადგენელმა და გერმანიის მხედრობის ერთმა წევრმა. ამ მილოცვას, რასაკვირველია, მთელი ეროვნული საბჭო აღფრთოვანებით შეხვდა და ეს საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ურთიერთობის, რომელიც მყარდება ახლად აღდგენილ საქართველოსა და დიდი გერმანიის შორის.

საქართველოს მიესალმენ უკრაინელები, ბერძნები, ლატიშები, ებრაელები. საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნებებმა სალამი უძღვნეს საქართველოს და გამოსთქვეს თვისი სიხარული რომ მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა აღდგა. ამ თანაგრძნობას ქართველი ერი მადლობის სავსებით მიეგებოდა, ვინაიდან, როგორც მახლობელ წარსულში, ისე შორეულს საუკუნეებში საქართველოს ყველა მცხოვრებნი, როგორც ქართველნი, ისე უცხონი თავს თვლიდნენ საქართველოს სყოფილებიან და თანასწორ წევრად ჰგრძნობდენ. როგორც ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათ, ისე ყველა ქართველებს მტკიცედ გვწამს, რომ ქართველი ერის მიერ ეს საუკუნეთა განმავლობაში შეთვისებული კეთილშობილური თვისებები კიდევ უფრო განმტკიცებული იქმნება მომავალს საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა შორის გამონაკლისს სომხობა შეადგენდა. მათ არ მიულოცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა, ისინი არ მიესალმენ ქართველი ერის თავისუფლებას. წინააღმდეგ ამისა სეიმის უკანასკნელს კრებაზე და თბილისის ქალაქის საბჭოს კრებაზედაც ამ ერის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა სავსებით გამოაშკარავეს ის სულისკვეთება, რომელსაც ისინი განიცდიან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამო.

ჩვენ სრულიადაც არა გვგონია, რომ სომხის ერის უმრავლესობისათვის საწყენი იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა, სადაც ისინი მუდამ მფარველობას და თანაგრძნობას ჰპოულობდენ. თუ ამ ერს შეგნებული აქვს თავისი ნამდვილი ინტერესები და არ აქვს დავიწყებული მახლობელი და შორეული წარსული, ის სიხარულით უნდა ხვდებოდეს საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას.

მაგრამ ამ ერს წარსულშიაც მრავალი ჰყავდა ისეთი მეთაურები, რომელნიც საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდენ ფარულად თუ აშკარად, როდესაც ყოველი სომეხი საქართველოში სწორ-უფლებიანი მოქალაქე იყო და საქართველო მთელ სომხის ერს მფარველობდა. სომხის ერს ამ ჟამად მხოლოდ ასეთი ადამიანები მეთაურობენ და მით აიხსნება, რომ სომხების სახელით არავინ მიესალმება საქართველოს თავისუფლებას, წინააღმდეგ ამისა გამოხატავენ დიდ ძალს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამო.

ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ყველა მცხოვრებნი ერთგული ქვეშევრდომნი იქნებიან საქართველოსი და არც ერთი საქართველოში მცხოვრები ეროვნების მასსა არ გაჰყვება თანამოზიარედ იმ მაწნე მუშაობისა, რომელსაც წინეთაც ეწეოდენ და ეხლაც ეწევიან ზოგიერთი პოლიტიკური წრეები და რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგენილ საქართველოს ყველაფერის მოეპოვება საკმაო საშუალებები.

## რომელი დროშა?

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის დღეს ერთი ფრიად დამახასიათებელი ინციდენტი მოხდა: როდესაც სასახლის აივნიდან მრავალ-ათასობით თავმოყრილ ხალხს წაუკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ცენტრალური კომისიის განკარგულებით სასახლის გუმბათზე წითელი დროშა შეცვლილ იქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული დროშით და ეს იყო ამ დიადი დღის საუკეთესო საზეიმო მომენტი. მაგრამ ზოგიერთ ადამიანებს ეს ფაქტი „კონტრ-რევოლუციურ გამოსვლად“ მიაჩნიათ და არ გასულა ერთი საათიც, რომ მათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა ძირს დაუშვეს და სამაგიეროდ ისევ აღმართეს წითელი დროშა, რომელსაც რუსული წარწერა ამშვენებდა: „Да здравствуетъ Россійское Учредительное Собраніе“.

ჩვენ სრულებით არა გვქონია მიზნად დროშების მიერ გამოწვეულ „გაუგებრობის“ გაზეთის ფურცლებზე გადმოტანა, არც იმისი გარჩევა გვსურს, რომელს დროშას ეკუთვნის უპირატესობა, და თუ ამ საგანზე ვწერთ, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ დროშების მოულოდნელმა შეცვლა-გამოცვლამ ათასი ჭორი დაჰბადა ქალაქში და, მეორის მხრივ, იგი ჩვეულებრივ პროვოკაციისათვის გამოიყენა შავრაზმულ რუს-მოხელეების ორგანო „ზნამია ტრუდა“-მ, რომელსაც მეტად ძლიერად გამოეხმაურა „ერთობა“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ბოდიშს იხდის „ზნამია ტრუდა“-ს წინაშე: „მართალია, დროშა ჩამოხსნეს ქართველმა შავრაზმელებმა და შემდეგ ის ისევ იქმნა აღმართული“.

აქამომდე ქართველობა ამაყობდა ეროვნული დროშით, რომელიც ერთგვარი სიმბოლიური გამოსახულობაა ქართველი ერის ბუნებრივად თანდაყოლილი და ისტორიულად ნაცად კულტურული სათნოებებისა! ამ ჭეშმარიტად ფაქიზ დროშისათვის არა ერთს ათას ქართველს შეუწირავს სიცოცხლე და მოუხვეჭავს სახელი საყვარელ სამშობლოსათვის! ლაშქრობაც და ქირშიც ეს დროშა წინ მიუძღოდა საქართველოს უძლეველ ლაშქარს და განსაცდელის დროს უკუაგდებინებდა სასოწარკვეთილებას და ამ ჟამადაც აღდგენილ საქართველოს ერთგული შვილნი მის გარშემო შემოკრბენ, ვითარცა განუყრელნი,—და, ნაცვლად იმისა, რომ მოწიწებით ქედი მოიხარონ ამ წმიდა და ძლევამოსილი დროშის წინაშე, თავხედურად გაიძახიან, რომ იგი ქართველ შავრაზმელების სათაყვანებელი საგანია! მაგრამ საოცარად სცდება „ერთობა“, თუ დარწმუნებულია ამაში: იმ დღეს საბჭოს თეთრ დარბაზს ამშვენებდნენ ეროვნული დროშები, როდესაც სასახლიდან ყოველთა ქართველობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, ხალხმა ერთსულოვნად და აღფრთოვანებით მოითხოვა ეროვნული დროშების გადმოფენა; თვით ერთობის თანამშრომელი ვინმე „ეს—ჩები“ მოგვითხრობს, რომ, როგორც დარბაზში, აგრეთვე ხალხით გაჭედილ გოლოვინის პროსპექტზე... „ყველგან ეროვნული დროშა ფრიალებს“...

26 მაისს საქართველოს ხალხმა გრანდიოზული მანიფესტაცია მოახდინა და, მგონია, „შავრაზმელ“ ქართველს სრული უფლება ჰქონდა ერის მკვდრეთით აღდგენის დღეს ეროვნულ საბჭოს სასახლის სამეფოზე აღემართა საქართველოს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დროშა. დასაგმობია მხოლოდ იმათი საქციელი, ვინც ამ განსაკუთრებულ დღეს მაინც პატივი არა სცა საქართველოს სახელმწიფოს და ხალხის სურვილს და თავხედურად გადმოაგდო ქართული დროშა.

სხვა გვარ დაწესებულებებზე აღმართეთ, ბატონებო, ინტერნაციონალური დროშები, თუნდაც იმავე რუსული წარწერებით, როგორც ადგილი ჰქონდა საქართველოს პარლამენტის შენობაზე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ საქართველოს უზენაეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებას ამშვენებდეს საქართველოს ეროვნული დროშა და მას ყოველი მაწანწალა ჭუჭყიანი ხელებით არ ეხებოდეს.

**ა. ინგილო**

## ახლა მაინც უსმინოთ ტანჯულ ინგილოებს!

ამ თვის ოცდა სამს გაზეთ „საქართველო“-ში მოთავსებული იყო საინგილოს შესახებ დიდათ აღმაშფოთებელი და შემაძრწუნებელი შინაარსის მოკლე წერილი სათაურით „ბოხრებული ჩხარე“. სისხლით დაწერილი სტრიქონები აღნიშნული წერილისა ცეცხლის ხაზებად ჩამჭრნენ გულში და ვფიქრობ, სწორედაც ცეცხლად ჩაეწვნენ თვითეულ მეთქი ამ წერილის სიტყვები, საქართველოს ეროვნული საბჭო უსათუოდ ფიცხელ ყურადღებას მიაქცევს ინგილოების უღვთო რბევა-მოკვლას, ქართული მოქმედი პოლიტიკური პარტიები სისწრაფით ჩაერევიან საქმეში და გამოარკვევენ მეთქი მიზეზებს ზაქათალის ოლქის მაჰმადიანთა საშტიკო ამხედრებისას მათ მშვიდობიან მეზობელ ინგილოების წინააღმდეგ და სხ. მაგრამ, სჩანს, წაკითხვის შემდეგ წერილი ყველას ჩვეულებისამებრ კუნჭულში მიუგდია და მისი შინაარსი დავიწყების ქარისთვის გაუტანებია!

შეუწყნარებელი და სამარცხვინო ბოძზე მისაკრავი ადგილი შემთხვევაში ჩვენი გულქვაობა, უმოქმედობა და, თუ გნებავთ, მოქალაქობრივი სიბრმავე. საკითხში ჩაცვივნული ინგილოები მოგვითხრობენ: არავისთვის არა წაგვირთმევია და ვცხოვრობთ მამა-პაპათაგან დატოვებულ მიწა-წყალზე, არავის არ ვებრძვით, ქურდობა-ავაზაკობით მეზობლებს არ ვაწუხებთ, გუთნით და ბარ ნამგლით შეძენილი სარჩოთი ვემსახურებით ოჯახს და ქვეყანას და ვერ გაგვიგია, რათ გვარბევენ, რათ გვაწიოკებენ, რათ გვაოხრებენ ცოლ-შვილს, რათ გვინადგურებენ ოფლით შეძენილ ქონებას, რათ გვიგინებენ მამა-პაპათა საფლავებს დღევანდლამდე მეზობლურ განწყობილებაში მყოფი მაჰმადიანები! გთხოვთ და გვედრებით ჩვენს უფროს ძმებს—ქართველებს,—გამოიკვლიეთ, გაიგეთ და შეიტყვეთ, ვართ თუ არა რაიმეში დამნაშავე მაჰმადიანთა წინაშე და თუ სხვაფერივ არ მოგვლება ჩვენი გაჭირვება, ოღონდ ნუ-ვინ გვაჩივით, დაგვტოვეთ მოგვკლით და სხვაგან გადაგვასახლებდეთ, რადგანაც არც სურვილი გვაქვს და არც შეძლება მაჰმადიანებთან ბრძოლისა და უთანასწორობის წარმოებისა. აი, რაზე გვემუდარებიან ინგილოები მთელი წლის განმავლობაში და ნუთუ ამის შეუსმენლობით, ამგვარ მდგომარეობაზე თვალების დახუჭვა შეუწყნარებელი და გასამართლებელია რითიმე?! ამის შემდეგ რა იმედი თვით უნდა იყოს პროვინციას ჩვენს ინტელიგენციაზე, პოლიტიკურ წრეებზე, საერო საბჭოზე, თვით რევოლუციონურ მმართველობაზე!

ბოლოსიბოლოს ერთად ერთს ვწნავ გვაკლია—ეს შეგნება მით რევოლუციური მმართველობის აუცილებლობა, ფართო საზოგადოებას დავანახოთ ახალი მმართველობის უპირატესობა, მშრომელი გლეხობის თანაგრძნობა მოვიპოვოთ რევოლუციის მუშაკებსო და ამავე დროს კი ერის კვნესა არაფერს არ ეუბნება რევოლუციურ მმართველობის და ორგანიზაციების წევრთა გულსა და გონებას, გლეხთა გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ხვეწნა-ვედრებას ყურსაც არ ათხოვებენ ჩვენი ქვეყნის ბედის მაწარმოებელნი! რა არის ეს, თუ არა საკუთარი ხელით ჩამოჰკრა იმ ტახტისა, რომელზედაც სხედან მთავარნი და წვრილი მუშაკნი რევოლუციის ხომალდისა ჩვენს ქვეყანაში? განა წარმოსადგენია, რომ ამაზე უფრო საშიშრად გამოუცნობიოს ვინმე გვერდი და ძირი ხსენებულ ხომალდს!

ბუნებრივი არ იქნება, რომ ჩვენი გულქვაობით და გაუკითხაობით მოთმინებიდან გამოსულმა ინგილოებმა ერთხელ და სამუდამოდ ზურგი შემოგვაქციონ და ზიზღით მოგვაძახონ ჩვენი ურგები ა წონი ძალის და ქართველნი ქვას-ო.

ბატონებო! ინგილოები არც ჯარსა გვთხოვენ, არც ფულსა და არც სურსათს. ამათ ჩვენგან მხოლოდ ხელი გამოუწვდიათ და გვემუდარებიან ამას: გაიგეთ რათ გვაპობენ სიცოცხლეს ამხედრებული მაჰმადიანები და, თქვენ მიერ გამონახულნი, წარუდგინეთ მისულმანთა საზოგადოების შეგნებულ ნაწილებს სამსჯავროდო...

მთელი ჩემი არსებით ვუერთდები წამებულ ინგილოთა გულიდან ამონახდარ მწარე გმინვას და გთხოვ ყველას, ვისაც კი შერჩენია მოყვასის გაჭირვების შეგნება-განიცდის მადლი, ახლა მაინც უსმინოთ ტანჯულ ინგილოებს, ახლა მაინც ვიღონოთ რამე, რომ ამ ბედშავ ჩვენს ძმებს შევუნარჩუნოთ ფიზიკური არსებობა.

**მიტროპოლიტი ლეონიდი.**

## ჩვენ და ისინი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ეროვნული იდეის ბრწყინვალე გამარჯვებად ჩაითვლება.

26 მაისის აქტი—აშკარა ქედის მოხრაა სხვა მიმართულებათა საქართველოს დროშის წინაშე, დადასტურება და დამტკიცება იმ აზრისა და სიმართლისა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვადგეთ და ვემსახურებოდით.

ჯერ ერი და მერე მისი ნაწილები.

ჯერ ქვეყნის ინტერესები, მერე—ჯგუფური, პარტიული და კლასიური საქმეები.

ჯერ ეროვნული პოლიტიკა, მერე—კლასიური.

დღეს, როდესაც ამ შეგნებამ სძლია ჩვენს მოწინააღმდეგეთა ჯიუტობას, როდესაც საქმით დამტკიცდა ჩვენის მოძღვრების სინამდვილე, ბევრს პოლიტიკაში გამოუცდელს პირს შემცდარი აზრი უტრიალებს თავში (ხშირად ამას აშკარადაც გამოსთქვამენ):

— დღეს რაღა საჭიროა პარტიები? აი, ხომ სოციალდემოკრატიაც „მარჯვნდება“, იწამა თავისუფალი საქართველო. მაშ რაღა განსხვავებაა ამას იქით თქვენში?..

და დასკვნაც შესაფერი გამოჰყავთ: რაკი ყველაზე ძლიერი და ხალხში ფეხგადგმული პარტია დღეს სოციალ-დემოკრატიაა, მისს დროშას შევეფარო-

ნეთ ყველანი, მისს მეთაურთ მიჰყვეთო...

ასეთს სიტყვებს გაიგონებთ დღეს ხშირად იმათგან, ვისი აზროვნება თუმცა უდავოდ ეროვნულია, მაგრამ ვინც დღემდე პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდა, პარტიულ ცხოვრების გარეშე იდგა.

ამასვე უქადაგებენ ხალხს კანტიკუნტად ცნობილ მსოფლმხედველობის მატარებელნი, ვინც დღემდე იმისს მტკიცებაში იყო, მუშა ხალხს სამშობლო არა აქვს, ეროვნული დროშა—ბურჟუების და თავად-აზნაურობის ფარხმალია, ხალხის მტრების და სისხლის მწოველთა სანატრელიაო, ვინც ცხოვრების ულმობელ კანონის მიერ იძულებული იყო თვითონაც ამოეფარებოდა ამ „ბურჟუების ფარხმალს" და, გზა-აბნეულმა, ალბათ იცის რა მოიგონოს, რითი განუმარტოს ხალხს ასეთის უცნაურის „მეტამორფოზის" ნამდვილი მიზეზი...

გულუბრყვილო პოლიტიკოსს ავიწყდება ან ვერ შეუგნია, ხოლო პარტიული პროპაგანდისტი განგებ აფუჩეჩებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ და იმათ შორის განსხვავება იყო და არის არა მარტო პოლიტიკურ საკითხში, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება სხვა საკითხებშიაც.

პოლიტიკურ საკითხში ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ წინ გვიდევს მრავალი სხვა საკითხი, სადაც ჩვენ არა ნაკლები ბრძოლა მოგვიხდება მათთან, სადაც, სამწუხაროდ, ხშირად მოგვიხდება დავუპირდაპირდეთ ერთმანეთს: „ჩვენ" და „ისინი".

ჩვენ ასეთის გაყოფის წინააღმდეგნი ვართ, იგი ერისთვის მავნედ მიგვაჩნია, მზად ვართ ქვეყნის განსაცდელის ჟამს დროებით დავივიწყოთ ეს განსხვავება, მაგრამ მხოლოდ დროებით, მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებით, მხოლოდ იქ, სადაც ფაქტის წინაშე ვდგევართ და იძულებულნი ვართ ორ ბოროტებაში უმცირესი ავირჩიოთ.

ისე-კი მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მისწრაფებანი და პოზიციები არსებითად შეურიგებელნი არიან.

ჩვენ ვამბობთ;

ჯერ ერი და მერე მისი ნაწილები.

ჯერ ეროვნული პოლიტიკა, მერე ჯგუფური, კლასიური.

ჯერ საქართველო და მერე ქართველები, ქართველი გლეხები, ქართველი ვაჭრები, ქართველი მუშები.

საქართველოს ინტერესებს უნდა შეეწიროს კერძო ქართველთა და ქართულ სოციალურ—პოლიტიკურ ჯგუფთა მისწრაფებანი.

ჯგუფური და კლასიური პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს ეროვნულ—სახელმწიფოებრივ ფარგლებში, შეეფერებოდეს ერის, როგორც მთლიანის სხეულის საჭიროებათ, ჯგუფური მოთხოვნილებანი უნდა კმაყოფილდებოდნენ იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულს მთლიანობას.

და ამ ნიადაგზე, ვიმეორებთ, ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება კიდევ შეტაკება და ბრძოლა იმათთან, ვისაც არა სწამს ერის ორგანიული მთლიანობა, ვინც უყურებს ერს, როგორც კლასთა კრებულს, მათს საბრძოლველ ასპარეზს, ვინცა ლამობს ერთის რომელისამე კლასის საჭიროებათ ანაცვალოს ქვეყნის ინტერესები.

ჩვენის ღრმა რწმენით, ვერ მოევლინება ქვეყანას მხსნელად და პატრონად ის პარტია, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ეროვნულ-აღმაშენებელ ძალების გათიშვით დაიწყო, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას შემდეგაც—კი ვერ გაბედა თავისის ოფიციოზისათვის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის" და „ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების" „იარლიკების" ჩამოშორება.

ვერ შექმნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივს მთლიანობას ის ჯგუფი, რომელმაც ვერ მოინდომა ეროვნულ დროშის რევოლუციის დროშაზე მაღლა დაყენება და თავისუფალს საქართველოში კვლავ რუსული წარწერა და ლოზუნგი აატრიალა.

შეუპოვარი.

## ქართული პრესა

ჩვენი სოციალდემოკრატები ეხლა არწმუნებენ თავის მიმდევრებს—არ არის ბუნებრივი, რადესაც განუვითარებელ სახელმწიფოს, სადაც მუშათა კლასი სუსტია, სოციალდემოკრატები მეთაურობენო. რასაკვირველია, ისინი მარქსს და ენგელსს იმოწმებენ. „ერთობის" მეთაური ამის შესახებ სწერს:

„არსად არ შექმნილა ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობა მუშათა კლასისათვის, როგორც ჩვენში. მუშათა კლასი, ამბობს მარქსი, ყოველ ბურჟუაზიულ რევოლიუციაში თამაშობს უკიდურეს ოპოზიციის როლს. მისი მიზანია რადიკალურ დემოკრატიულ ჯგუფებს და პარტიებს მხარი დაუჭიროს, რამდენადაც ისინი უფრო მემარჯვენე წრეებს ებრძვიან და ასე თავისუფლების მაქსიმუმს ახორციელებენ. თვით მუშათა კლასი ამრიგად სახელმწიფოებრივ კლასად არ გამოდის. იგი სახელმწიფოს მეთაურობას არ კისრულობს. ენგელსი დიდ უბედურებად სთვლიდა მუშათა კლასისთვის მართველობის ხელში ჩაგდებას იმ დროს, როცა მის საბატონოთ ობიექტიური პირობები არ მომწიფებულა. რუსეთში ამ პრინციპის დავიწყებამ ბოლშევიკების ავანტიურა წარმოშვა და ყველა ის საშინელებანი მოგვცა, რომელმაც მრავალ წლობით დასწია უკან რუსეთის განვითარების საქმე და ამით რევოლიუციურ დემოკრატიის საქმეც დააბრკოლა.

ჩვენში, საქართველოს ახალ რესპუბლიკაშიაც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას, მუშათა კლასის პარტიას ეკუთვნის.

ამ რიგათ ერთი შეხედვით აქაც მუშათა კლასი უდგას სათავეში სახელმწიფო მართვა-გამგეობას. იგი თამაშობს გადამწყვეტ როლს მისი პოლიტიკურ ხაზის გატარებაში. ასე რომ ის თავისებური მდგომარეობა, რომელსაც ენგელსი საბედისწეროთ თვლიდა მუშა კლასისათვის, უკვე არსებობს. მართალია მუშათა კლასი ჩვენში უფრო ნაკლებ განვითარებულია, ვინემ ევროპაში და თვით რუსეთში. მრეწველობას აქ ორიოდე პუნქტს გარდა, ფართო ასპარეზი არ აქვს მოპოვებული. მე ვამბობ მსხვილ მრეწველობაზე, რომელიც თავს უყრის ათასობით და ათიათასობით მუშებს და ამით ქმნის ნიადაგს სოციალისტური მოძრაობის გასაძლიერებლათ.

ჩვენში ამიტომ სოციალდემოკრატიის ბატონობა არ არის შედეგი მუშათა კლასის რიცხვითი სიმრავლის, არამედ სულ სხვა ფაქტორის, სახელდობრ გლეხთა თანაგრძნობის. რომ გლეხობა არ უჭერდეს მხარს მუშათა პარტიას, იგი შედარებით უმნიშვნელო უმცირესობას თუ შეადგენდა. გლეხების თანაგრძნობა უმაგრებს ზურგს მუშათა პარტიას. ამიტომ არსებითად ბატონობა მუშათა პარტიის, არის ბატონობა გლეხი ამომრჩევლების.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ როგორც მუშებმა, ისე პარტიამ, დღევანდელი გავლენა პარტიისა არის, ეტყობა გარეშე, არა გავლენა მათი სოციალისტური იდეოლოგიის, არამედ დემოკრატიულის და სოციალდემოკრატიას ამით თავს აწევს მოვალეობა დემოკრატიული მუშაობა აწარმოოს და დემოკრატიული წესწყობილება განამტკიცოს.

იგი გამოდის არა უკიდურეს ოპოზიციონერათ, როგორც ამას მარქსი ურჩევდა, არამედ თვით მეთაურათ და ხელმძღვანელათ.

ეს შედეგია წმინდა დემოკრატიული პარტიების სისუსტის, შედეგია იმის, რომ სოციალდემოკრატია სოციალისტურ იდეალებთან ერთად უკიდურესი დემოკრატიზმის მატარებელიცაა. და მხარე, რომელიც დღემდე ყოველნაირივ მონობის უღელს ატარებდა, ყველაზე უფრო ცნდა და გაჰყვა მათ, ვინც ამ მონობის წინააღმდეგ სხვებზე გაცილებით უფრო ენერგიულათ იბრძოდა. ამას ზედ დაემატა სისუსტე დამოუკიდებელ დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ წრეების და ეს გახდა მიზეზი სოციალ-დემოკრატიის უმაგალითო გაბატონებისა ჩვენში.

მაგრამ ეს ბატონობა მათ ავალებს განსაკუთრებულ მუშაობას—დემოკრატიის როლის ასრულებას, და თუ იგი ამ გზას გადაუხვევს—მასის სიმპატიაც დაეკარგება. ნიშნები ამისა დღეს უკვე სჩანს.

დემოკრატიას უყვარს ძლიერი მთავრობა, მტკიცე და მყუდრო წყობილება, და სხვა. ერთი სიტყვით, ის, რაშიაც თავის მხრივ სოციალისტი ამდენათ დაინტერესებული არ არის. მაგრამ თუ ისტორიამ ეს როლი დაგვაკისრა, უნდა ჩვენთვის ეს არა სასიამოვნო საქმეც გავითოთ (კურსივი ჩვენია). ერი, რომელმაც თავის ბედი მოგვანდო სამართლიანათ მოელის ჩვენგან ამ მსხვერპლს და ჩვენც უნდა სრულის შეგნებით ვიკისროთ იგი.

დემოკრატიის გამტკიცება უნდა მოხდეს ჩვენის ხელით. ასეთია ისტორიის ლოღიკა და ეს მისია უნდა შეასრულოს მუშათა კლასის პარტიამ".

რომ სოციალ-დემოკრატიამ მასსის სიმპატია და ნდობა დაკარგა, ეს რასაკვირველია, ყველასთვის ცხადია. ამით აიხსნება სხვათა შორის „ერთობის" ასეთი წერილები. მაგრამ შემცდარია, თითქოს ისტორიამ დააკისრებინოს სოციალ-დემოკრატიისთვის ბურჟუაზიული სახელმწიფოს მმართველობა. ამის შესახებ მათ შეეძლიათ იმავე მარქსს და ენგელსს შეეკითხონ. მათ თვით დაიკისრეს ეს მათთვის „არა სასიამოვნო" საქმე. და როგორი ძალმომრეობითა და როგორი ზომებით დაიკისრეს, ეს კიდევ ხალხს ახსოვს. ეხლა, როდესაც მათმა მუშაობამ ყოველს დარგში და სფეროში საშინელი შედეგები გამოიღო და ცხოვრება სრულიად დაშალა და თვით ხალხი მათ ასეთი მძიმე გაკვეთილის შემდგომ ჩამოშორდა, „ერთობა" მარქსს და ენგელსს იმოწმებს—სოციალისტები სახელმწიფოს მართვა გამგეობას არ უნდა ებღაუჭებოდნენ, ისინი ოპოზიციაში უნდა იდგნენ. რასაკვირველია მარქსს და ენგელსს ეს აზრები ეხლა არ გამოუთქვამთ და ჩვენმა სოციალდემოკრატებმა ეს წარსულშიაც იცოდნენ, მაგრამ მაინც ყოველგვარი ძალით სცდილობდნენ, რომ სახელმწიფოებრივი მეთაურობის „არა სასიამოვნო საქმე" მხოლოდ მათ ჩაეგდოთ ხელში.

## საზავო დელეგაცია

რადგანაც ოსმალეთის ულტიმატუმის მოთხოვნილებები საქართველოს რესპუბლიკასაც ეხება მთავრობამ დაადგინა ბათუმში საზავო დელეგაცია გაგზავნოს მინისტრ-პრეზიდენტის ნოე რამიშვილის მეთაურობით. მას როგორც დელეგაციის არჩევლები გაჰყვებიან გენ. ა. ოდიშელიძე ადიუტანტებით, გ. გვაზავა და გ. რცხილაძე. დელეგაციას თან გაჰყვება საჭირო მოსამსახურეთა შტატი.

## სომეხთა დელეგაცია

29 მაისს ბათუმში გაემგზავრა სომეხთა საზავო დელეგაცია ა. ი. ხატისოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: მ. ი. პაპაჯანოვი და რ. ი. კაჩაზნუნი.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

თავმჯდომარეობს ნოე ჟორდანია. მინისტრები ლოჟებს იჭერენ. ამავე დროს შემოდის პეტრე სურგულაძე. ნაცნობნი მხიარულად და კოცნით ესალმებიან.—სხდომა იხსნება დღის 1 ს. 15 წ.

### დღის წეს-რიგი

ნ. ჟორდანია. საბჭოს კრებას ვაცხადებ გახსნილად. დღევანდელი კრების წესრიგი იქნება: 1) მილოცვები; 2) სამანდატო კომისიის მოხსენება; 3) არჩევა პრეზიდიუმის; 4) მთავრობის ცნობა ოსმალეთთან და გერმანეთთან მოლაპარაკების შესახებ; 5) არჩევა სხვა და სხვა კომისიების. (დღის წესრიგი მიღებულია).

## მილოცვები

ნ. ჟორდანია. სიტყვა ეკუთვნის უკრაინის რესპუბლიკის წარმომადგენელს ხიმენკოს.

### უკრაინის რესპუბლიკის წარმომადგენლის სიტყვა

ხიმენკო. უკრაინის რესპუბლიკის სახელით მოგესალმებით თქვენ, თავისუფალ საქართველოს შვილნო, დიდებულ აქტის მოხდენის გამო, რომელმაც ხალხთა თვითგამორკვევის უმაღლესი ლოზუნგი განასახიერა ცხოველმყოფელ ფაქტით. ამ მძიმე მომენტში, როდესაც მრისხანე შავი ღრუბლები შემოსწოლიან ჩემსა და თქვენს სამშობლოს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ უკრაინა, როგორც ძველად ხელი ხელს ჩაკიდებული, ეხლაც თქვენთან ერთად იქნის. ვიმეორებ, ამ მძიმე განცდის წუთებში იგი არ დასტოვებს იმ დიდებულ ხალხს, ვისთანაც საუკუნოებით მხოლოდ ერთ სიყვარულსა და ძმურს დამოკიდებულებას განიცდიდა. გაუმარჯოს დიდებულს, თავისუფალს, საქართველოს, გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას, გაუმარჯოს სუვერენულს დიდს საქართველოს! შემდეგ ორატორი უკრაინულს ენაზე უსურვებს საქართველოს დღეგრძელობას და ბედნიერებას. (ხანგრძლივი ტაში).

ნ. ჟორდანია. სიტყვა ეკუთვნის ლიტვის საოლქო საბჭოს წარმომადგენელს.

### ლიტვის წარმომადგენლის სიტყვა

დალიამიდი. საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნო, თავისუფალ საქართველოს შვილნო, ჩემს წილად უდიდესი პატივი მხვდა მოგესალმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ნება მომეცით ეს მოსალმება წავიკითხო იმ რედაქციით, როგორც მიღებულ იქმნა იგი ჩვენი საოლქო საბჭოს მიერ, რაიც ეხება ლიტვის მთავრობას: (კითხულობს) „27 მაისის სხდომაზე მოვისმინეთ რა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ლიტვის საოლქო საბჭომ დაადგინა მიესალმოს ქართველ ხალხს მშობელი ქვეყნის სუვერენობის აღდგენას თავისუფალ საქართველოს ახლად დაარსებულს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სულით და გულით ვუსურვებთ დღეგრძელობას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას" (ტაში).

ნ. ჟორდანია. სიტყვა ეკუთვნის ებრაელთა ახლად არჩეულ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს.

### ებრაელთა წარმომადგენლის სიტყვა

გრუზენბერგი. ბატონებო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნო! ებრაელთა ეროვნული საბჭო, რომელიც საყოველთაო ხმის მიცემითაა არჩეული, მხურვალედ ეგებება თქვენს სახით საქართველოს დამოუკიდებელ ხალხს და დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას. ჩვენი მოსალმება განსაკუთრებულის გრძნობითაა გამთბარი. ჩვენს შემეცნებაში ამ წუთს მეტად მომხიბლველ მოგონებათ გაეშალეს ფრთები. ებრაელთა გულში სამარადისოდ წარუშლელია ის ხსოვნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დროს, როდესაც ებრაელები საყოველთაო დევნას განიცდიდნენ თვით განათლებულ ქვეყნებშიაც კი, ქართველი ერი მთელს ქვეყანას უჩვენებდა საუცხოვო მაგალითს მოქალაქობრივ თანასწორობისას, თავისუფლებისას და არა ქრისტიან ერთა შეწყნარებისას და მათთან ძმური დამოკიდებულების განმტკიცებისას. ზნეობრივ ღრმად დაკმაყოფილების გრძნობით მივესალმებით იმას, რომ რევოლიუციის მიერ ერთერთმა უდიდესმა და უსაყვარლესმა მოპოვებამ—ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპმა, თავისი განსახიერება ჰპოვა სახელდობრ ქართველ ერში, რომელიც რაინდულად იცავდა თავისუფლებას, მესვეურობდა საზოგადოდ დემოკრატიულ მოძრაობას და რომელმაც ამდენი გამოჩენილი, ამდენი თავგანწირული მებრძოლნი გამოიყვანა საყოველთაო განთავისუფლების მოსაპოვებლად. ჩვენ გვწამს, რომ სახელდობრ საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივ თავისუფლების საუკეთესო ცნებანი, საუკეთესო დემოკრატიული იდეალები სწორედ აქა ჰპოვებენ უფრო მკვეთრს, უფრო ნათელს განსახიერებას, ვიდრე სხვაგან სადმე. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელები არასოდეს არ სთვლიდნენ თავიანთ თავს განსაკუთრებულად გამოყოფილს, არა! იგინი უყურებდნენ და უყურებენ კიდეც, თავიანთ თავს საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა საზოგადო ოჯახის წევრად. ჩვენ ჩვენს თავსა ვთვლით ერთსა და იმავე დემოკრატიის ნაწილად, ერთსა და იმავე [illegible] საქართველოს [illegible] შვილებან წევრად და მასთან ერთად მზად ვართ გავწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე, რომ ერთ სულოვნად ვემსახუროთ საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკას, მას ერთს შევწიროთ მთელი გული, მთელი გრძნობანი. ნება მიბოძეთ დავიძახო: გაუმარჯოს, აჰყვავდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! თავისუფალო მოქალაქენო, თავისუფალ საქართველოს შვილნო, რა ტკბილად, რა მშვენივრად მოისმის ეს ხმა „თავისუფალი საქართველო!" ებრაელთა საზოგადოების საბჭოს სახელით მოგესალმებით!.. (მხურვალე ტაში).

## სამანდატო კომისიის მოხსენება.

ნ. ჟორდანია. სიტყვა ეკუთვნის სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს რაჟდენ არსენიძეს.

რ. არსენიძე ვრცელ მოხსენებას კითხულობს. მისი აზრით ერ. საბჭომ უნდა დაამტკიცოს ის 88 სხვა და სხვა პარტიებიდან და ფრაქციებიდან არჩეული წევრნი, რომელშიც შედიან წარმომადგენლები, რომლებიც დღემდე შეადგენდნენ ეროვნულ საბჭოს. შემდეგ ამისა ეროვნულ საბჭომ უნდა იქონიოს ბჭობა საბჭოს წევრთა რიცხვის გადიდება 120 წევრამდე, თანახმად სამანდატო კომისიის დადგენილებისა. კრებამ 88 კაცი დაამტკიცა, შემდეგ შემადგენლობა შევსებულ იქმნა 120 შემდეგის პრინციპის მიხედვით დამფუძნებელ კრებისთვის არჩეული დეპუტატები, რომლებიც შედიოდნენ ამიერ კავკასიის სეიმში, რჩებიან ეროვნულ საბჭოს წევრებად, ამას გარდა პროპორციის მიხედვით ეს რიცხვი გადიდებულ უნდა იქმნეს სხვა და სხვა ფრაქციებიდან. ერთი ადგილი დაეთმო საინგილოს წარმომადგენელს, რ. იკაშნიცკის—ამნაირად, ეროვნულ საბჭოს შემადგენლობა იქნება სულ 121 წევრი. უპარტიოებს არაფერი არ მოუმატეს, სამაგიეროდ კიდევ ერთი ადგილი დაუთმეს რადიკალ დემოკრატებს, რადგანაც მათი რიცხვი დიდი დიდ იზრდებაო. კამათში მონაწილეობას იღებენ უპარტიონი და ეროვნულ დემოკრატები.

ნ. ჟორდანია. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წევრს ჟურულს.

გ. ჟურული. მთავრობა მოითხოვს ეს შემადგენლობის რიცხვის გადიდების საკითხი გადიდებული იყოს. ჯერ გადასაწყვეტია, დაინიშნება თუ არა ჯამაგირი ეროვნულ საბჭოს წევრებს, თუ არა. ამის მიხედვით შეგვეძლება შემდეგ თვით წევრთა რაოდენობა განვსაზღვროთ. ამიტომ მოვითხოვ, მოიხსნას ეს საკითხი, ვიდრე მთავრობა არ წარმოადგენს თავის აზრს.

ირ. წერეთელი. ვფიქრობ, ეს ისეთი საკითხია, სადაც მთავრობის წევრთა აზრს მნიშვნელობა არა აქვს. თუ მოხდა ისე, რომ საბჭოსთვის საჭიროა გადიდეს რიცხვი, მაშინ უნდა გადიდდეს კიდეც. თვით წევრნი მიახერხებენ რამეს, მცირეოდენ სასყიდელზედაც დასთანხმდებიან, რომ საქმე წარმართონ.

შალ. მიქელაძე (ს. ფ.) ჩვენ ვამბობთ, რომ საბჭოს რიცხვი იმდენი უნდა იყოს, რამდენიც საჭიროა წესიერი მუშაობისთვის. ჩვენ მოვითხოვთ რიცხვი იგი გადიდებულ იქნეს ასოცამდე.

ნ. ჟორდანია. კენჭს ვუყრი, ეს კითხვა ნუ გაირჩევა, გადაიდოს.

გ. ჟურული. (ადგილიდან) მთავრობამ მოისმინა წევრთა განცხადება და თვითვე ხსნის თავის წინადადებას.

ნ. ჟორდანია. მაშასადამე, საბჭოს წევრთა რიცხვი გადიდება 120 ვინც იღებს ამ წინადადებას, ვთხოვ, ხელი ასწიოს (ხელს სწევენ, ორი იკავებს თავს). ამნაირად, წინადადება მიღებულია.

რ. არსენიძე (ს.-დ.) კითხულობს სიას ახლად მიღებულ წევრებისას: ეროვნულ-დემოკრატებიდან დამატებით მიღებულნი არიან ვ. წერეთელი, დიმიტრი ჯავახიშვილი და მიხ. მაჭავარიანი.

შემდეგ იმართება მცირეოდენი კამათი უპარტიოთა წარმომადგენელ ქ. მაყაშვილისა და არსენიძის შუა ამ პარტიის წარმომადგენლის გაუქმებაზე. შემდეგ განცხადებულ იქნა, რომ შეუმუშავებელ რიცხვს გარეშე ერთი ადგილი ეთმობა საინგილოს წარმომადგენელს რ. იკაშნიცკის. ბოლოს

თავმჯდომარეც გადადის პრეზიდიუმის არჩევაზე.

**პრეზიდიუმის არჩევა.**

**ნ. ჟორდანია.** ვთხოვ კრებას, გამოარკვიოს რიცხვი, რამდენი წევრი მიაჩნია საკმარისად პრეზიდიუმისათვის?

**ირ. წერეთელი.** (ს.-დ.) ფრაქცია წინადადებას იძლევა იყოს ერთი თავმჯდომარე, ორი მისი ამხანაგი, მდივანი და მისი თანაშემწე. ხსენებული ფრაქცია წინადადებას იძლევა დღესვე დასახელებულ იქმნეს მხოლოდ თავმჯდომარე. (ირ. წერეთლის წინადადებას უერთდებიან ერ. დემოკრატები და ს.-ფედერალისტები).

**ნ. ჟორდანია.** ახლა გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატი.

**ი. წერეთელი.** კარლო ჩხეიძე. (საზოგადო ტაში).

**ნ. ჟორდანია.** ვინც მომხრეა, ასწიეთ ხელი (ყველა ხელს სწევს), მაშასადამე, წინადადება ერთხმად მიღებულია. (კ. ჩხეიძე მიემართება თავმჯდომარის სავარძლისკენ. მთელი დარბაზი ტაშით ეგებება).

## ჩხეიძის მისალმება

**კ. ჩხეიძე.** მოქალაქენო, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრნო! რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ჩემის აზრით, ეს ნაბიჯი წარმოადგენს ერთ უდიდეს აქტს. ქართველი ხალხის ცხოვრება ერთიანად დაუკავშირდება ამ აქტით. მე მგონია, რომ ქართველი ხალხი დაადგა იმ დიდ გზას, რომლითაც მიდიოდა მთელი კულტურული კაცობრიობა. ქართველი ერის ისტორიული გზა მუდამ ეკლიანი იყო. თავის მოტყუება იქნება ვიფიქროთ, ვითომც დღეს იგი იავარდით იყოს მოფენილი. შეიძლება ჩვენ ისე ვერ ვიაროთ, როგორც სასურველია, შეიძლება წავიბორძიკოთ, ისიც შეიძლება, დაგვიმძიმდეს ტვირთი, ზოგი საცოდაობა მოგვიცდეს, მაგრამ ვიიმედოთ, რომ ამ გზაზე შევხვდებით ისეთს მეგზაურობს, რომელნიც უკვე გამოცდილნი არიან ცხოვრებაში და წარმატებულად მიესწრაფვიან იქით, სადაც არ იქნება კლასობრივი ბრძოლა, მტრობა და შუღლი. გისურვებთ კეთილ მომავალს, რომ ნაბიჯი თქვენი იყოს ბარაქიანი, დოვლათიანი. პირადად, მე მოგახსენებთ მადლობას ნდობის გამოცხადებისათვის. ვიმედოვნებ, რომ თქვენის დახმარებით შემისრულდება დაკისრებული მოვალეობა და გავამართლებ თქვენს ნდობას. კვალად გმადლობთ! (ტაში) გადავიდეთ ახლა იმ საკითხებზე, რომელნიც შემუშავებულ იქმნა წინასწარ. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს.

## ნ. რამიშვილის სიტყვა

**ნ. რამიშვილი** (მინისტრთა თავმჯდომარე—შინაგან საქმეთა მინისტრი). მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით ეროვნულ საბჭომ დააკისრა მთავრობას უდიდესი მოვალეობა: მიღებულ იქმნეს ზომები, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ეცნოს უცხო სახელმწიფოებს, რათა ამ გზით ჩვენი რესპუბლიკა სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო საერთაშორისო უფლებისა. მთავრობამ იცოდა, რომ გერმანიის წარმომადგენელი იმყოფებოდა ფოთში, ამიტომაც იქ გაჰგზავნა საკუთარი წარმომადგენელი, რათა მასთან მოლაპარაკება გაემართნა და ეცნობებინა ყოველისფერი ის, რაც აქ მოხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გაცნობას გერმანიის წარმომადგენლის მიერ ასეთი შედეგი მოჰყვა: ა) გერმანია სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, რის დასამტკიცებლად ეხლავე მან უკვე დანიშნა დიპლომატიური წარმომადგენელი ქალაქ ფოთში (ტაში). ბ) გერმანია აღუთქვამს უზრუნველყოს საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა (ტაში). გ) გერმანიის საიმპერიო მთავრობა კისრულობს იშუამდგომლოს, რათა ჩვენი დამოუკიდებლობა სცნოს ოთხთა კავშირის სხვა წევრებმა, აგრეთვე რუსეთის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (ტაში). როგორც ხედავთ, ჩვენსა და გერმანიის შუა მეგობრული განწყობილება სავსებით აღდგენილია, ამას აცხადებს მთავრობა და იმედოვნებს, რომ ხალხი და მისი წარმომადგენელნი სავსებით გაიზიარებენ იმ გზას, რა გზასაც დაადგა იგი. იმედი გვაქვს ასეთივე მეგობრული განწყობილება აღვადგინოთ ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოსთან—ოსმალეთთან. მთავრობა ჰგზავნის საგანგებო დელეგაციას მოსალაპარაკებლად.

მოქალაქენო! თქვენ უკვე იცით, რომ ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს—ა. ჩხენკელს, მაისის 26-ს, საღამოს ექვს საათზე ულტიმატუმი წარუდგინა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენმა წარმომადგენელმა არ იცოდა ოფიციალურად ჩვენი დამოუკიდებლობის აქტი, თუმცა მთავრობამ მიიღო ზომები რომ ყოველივე დაუყოვნებლივ იმ წუთშივე ყოფილიყო გადაცემული. ჩხენკელმა 44 წუთით ადრე მიიღო ხალილ-ბეის ულტიმატუმი, ვიდრე მას მიუვიდოდა ცნობა აქ განსვენებულ ამიერკავკასიის სეიმის შესახებ.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით შინაარსი ულტიმატუმის. ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს დაეთმოს მას ახალი ტერიტორია. საზღვარი გაივლის ფოთის ჩრდილოეთით მდ. ნატანების გასწვრივ, შემდეგ ოსმალეთის ფარგალში გადადის ახალციხისა, ახალქალაქის და სურმალის მთელი მაზრები, ალექსანდროპოლისა და ნახიჩევანის დიდი ნაწილი, ერევნის მაზრის ნახევარი, და შემდეგ საზღვარი მიემართება სადგურ ჯულფის აღმოსავლეთით. მაშასადამე, მთელი რკინის გზა ალექსანდროპოლიდან ჯულფამდე ოსმალთა ხელში იქნება. ეს ეხება ტერიტორიის საზღვრების შეცვლას. გარდა ამისა ოსმალეთის მთავრობა გადაჭრით მოითხოვს ისარგებლოს ყველა რკინის გზით, რაც კი ყოფილა ამიერ-კავკასიის ფარგლებში. ოსმალეთი აცხადებს მოიყვანოს თავისუფალი მოხალისენი ამიერ კავკასიაში იმ ბრბოებთან საბრძოლველად, რომელნიც კი გამოჩნდებოდნენ აქ. თქვენ იცით, რომ ულტიმატუმი წარმოდგენილია იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც აღარ არსებობს. მარტო ფორმალურ მხარეს რომ არ დავეყრდნოთ, ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოსმალეთი მოისურვებს შეთანხმებით გადაჭრას საკამათო საკითხები. ვფიქრობთ,—ოსმალეთიც გაჰყვება იმ გზას, რომელიც აირჩია გერმანიამ და მეგობრულ განწყობილებაში შესვლას მოისურვებს. (ტაში).

**კ. ჩხეიძე.** (კითხულობს ს.-დემოკრატების მიერ წარმოდგენილ წინადადებას) კრებამ მოისმინა რა მთავრობის ახსნები გერმანელთა და ოსმალეთთან დამოკიდებულების შესახებ, მოიწონა მის მიერ მიღებული ზომები. (წინადადება მიღებულია).

(დასასრული ხვალ).

De—Ka.

# რუსეთი

**როსტოვის აღება გერმანელების მიერ**

ჩამოსულ აფიცერთა სიტყვით როსტოვი კვლავ აიღეს გერმანელ-გაიდამაკებმა. მათმა რაზმებმა წაიწიეს სად. სოსიკასთან, სადაც ბოლშევიკებს ცხარე ბრძოლა გაუმართეს. ეხლა ისინი ეკატერინოდარისკენ მიიწევენ.

**საერთო მდგომარეობა**

ციმბირიდან და რუსეთიდან დაბრუნებულნი გადმოგვცემენ: ბოლშევიკების გავლენა დღითი დღე ეცემა. მეზღვაურთა ერთ ნაწილმა შეადგინა ანარქისტების რაზმები და სასტიკად ებრძვის საბჭოების ჯარებს. ბრძოლა მოხდა სამარაში, ცარიცინში და სხვა ქალაქებში.

ხალხი თანდათან შორდება ბოლშევიკებს. მათში მონარქისტული იდეა დღითი დღე ღრმად იდგამს ფესვებს.

მთელს რუსეთში რკინის გზის და სამრეწველო საქმეები მეტად აშლილია. პური ყველგან არის მაგრამ მეტად ძვირი.

ციმბირში წითელგვარდიელებად თითქმის სულ ავსტრიელები და უნგრელები არიან.

**ქალების სოციალიზაცია**

„სვ. როს." გადმოგვცემს: სარატოვში ანარქისტების კლუბმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც „ყველა ქალები, 17-დან 32 წლ. ცხადდებიან სახელმწიფოს საკუთრებად. ქმრების უფლებები ისპობა. ქალებს დაუგზავნიან მსურველებს მათ თვეში სახელმწიფო ქონებიდან 232 მან. ეძლევათ."

# უცხოეთი

**შეიდემანელები მოსკოვისაკენ**

ვიცე კანცლერმა ზაიერმა წინადადება მისცა შეიდემანს გერმანელ სოციალდემოკრატების დანარჩენ ლიდერებს გაემგზავრონ პეტროგრადსა და მოსკოვში საერთო მდგომარეობის გასაცნობად.

მთავრობა სოციალდემოკრატებს არავითარ განსაკუთრებულ მისიას არ ავალებს. პარტიის ცენტრალი კომიტეტი ეხლა ამ საკითხს იხილავს.

დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები შეიდემანელებთან ერთად რუსეთში წამოსვლას არ აპირებენ.

**იაპონიის განწყობილება**

ახლად დანიშნული იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის მოტონის მოადგილე ბარონი გოტო გერმანეთში აღიზარდა. ბარონი გოტო არ ეკუთვნის იაპონიის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. იგი მიმდევარია იამაგატოსი და ტერაუჩის, იაპონიის ეხლანდელი პოლიტიკის სულის ჩამდგმელების. ამიტომ მინისტრების შეცვლა იაპონიის მოქმედებაში ნაკლებ ცვლილებას შეიტანს. ამ ჟამად იაპონიაში დემოკრატიული პარტიები კაბინეტის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან. იაპონიის ციმბირში გადასვლის იდეამ სრულიად დაკარგა პოპულარობა. ამ იდეას განსაკუთრებით უარყოფით უყურებენ ჯარის კაცები.

იაპონიის საერთო წრეებში ამბობენ, რომ საჭიროა, რუსეთის იაპონიის და გერმანეთ შორის მტკიცე კავშირის შეკვრა, რომ წინააღმდეგობა გაეწიოთ სხვა სახელმწიფოებს შორეულ აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებაში. სხვა სახელმწიფოდ, რათქმა უნდა ამერიკა იგულისხმება. მეორე მხრივ აღნიშნავენ, რომ ინგლისთან არსებული კავშირი ხალხის თვალში ნაკლებ პოპულარული არის.

# უკრაინის საჰეტმანოში

(სკოროპადსკი).

როგორც ახლა ირკვევა უკრაინის ახალ კაბინეტის წარმომადგენელი და გეტმანი სკოროპადსკი რევოლიუციამდე ყოფილა ნიკოლოზ მე-II-ის ამალაში ლეიბ-გვარდიის პოლკის გენერალ-მაიორად. იგი ნათესაობით კეთილ განწყობილებაში ყოფილა და ახლოს ყოფილა სამეფო ოჯახთან.

**გერმანელთა განცხადება.**

გერმანელებმა შემდეგი ოფიციალური განცხადება გამოუშვეს უკრაინის შესახებ.

„კონტრ-რევოლიუციურად შექმნილი რადა, რომელიც სრულებით არ იდგა რეალურ ნიადაგზე, იმის ნაცვლად, რომ ემუშავნა, როგორც საკანონმდებლო კორპორაციას, ეძებდა ხელისუფლებას, რასაც შედეგად მოჰყვა სიტყვების ნიაღვარი და უსაქმურობა. ყველა ეს ხელს უშლიდა კიევის მთავრობას, გერმანიის მიზნებს. კიევში მყოფ გერმანიის ელჩმა არა ერთგზის მისცა წინადადება პრემიერ გოლუბოვიჩს, რათა დაეჩქარებინა საზავო მოლაპარაკება და მიეღოთ ზომები მთავრობის ავტორიტეტის განსამტკიცებლად. ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. ენერგიულ საქმიანობის ნაცვლად ისევ ისევ ცარიელი სიტყვები ისმოდა. სურსათის აღსადგენად აპრილის 6-ს (1918 წ.) გამოიცა ბრძანება მინდვრების დათესვისათვის, რაც წინადვე ეცნობა პრემიერ გოლუბოვიჩს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბრძანება დაწერილ იყო რბილი კილოთი, მაინც დიდი მღელვარება გამოიწვია რადის მიერ. მან მკვეთრად განაცხადა გერმანელთა განდევნის სურვილი. ამის შესახებ, გერმანიის ელჩმა 24 აპრილს კვლავ უსაყვედურა პრემიერს. საუბარში მან მოითხოვა ახალ ეროვნულ კაბინეტის შედგენა. მაგრამ ცდა სულ ამაო იყო. 25 აპრილს, მდგომარეობა უფრო გამწვავდა ბანკის დირექტორის დაპატიმრებით. ეს ფაქტი იყო პროვოკაციული. გერმანელთა თხოვნა ამ შემთხვევაშიც უყურადღებოდ იქმნა დატოვებული და აქედან გამომჟღავნდა რომ მთავრობას არ ძალუძს ნაყოფიერი მუშაობა. მთავრობის კრიზისით ისარგებლა გენერალ სკოროპადსკიმ, რომელიც აირჩიეს გეტმანად 29 აპრილს. მაშინ, როცა სოციალისტური მთავრობა სრულ უმწეობას იჩენდა საქმეში, სკოროპადსკი საქმის კაცი გამოჩნდა და დღეს გამარჯვებაც მისკენ არის. გერმანიის მთავრობის აზრით, ახალ მთავრობის მიზანია მცოდნე მინისტრების საბჭოს დაარსება. ახალ მთავრობის პოლიტიკური პროგრამა დახასიათებით ასეთია: ბრესტის ხელშეკრულების სრული განხორციელება, თავისუფალი, დამოუკიდებელი უკრაინა დემოკრატიულ საფუძველზე. აღდგენილია მესაკუთრეობა მსხვილ მემამულეთა ქონების შემოქმედებით. არაპარტიული მთავრობა, არამედ გამაერთიანებელი ელემენტები უკრაინის კეთილდღეობისთვის მომუშავენი. ამ პროგრამის დაცვით გერმანიის მთავრობა მხარს დაუჭერს ახალ უკრაინის მთავრობას და ყოველგვარ მუშაობაში ხელს შეუწყობს.

**სავაჭრო ხელშეკრულება ცენტრალ სახელმწიფოებთან**

ავსტრიამ უნდა მისცეს უკრაინას 70 მილიონი ფუთი ნავთი. ამის გარდა ცენტრალ სახელმწიფოებმა აღუთქვეს უკრაინის სამხედრო სამინისტროს საჭირო ბენზინი და გაზოლინი. უკრაინისთვის გამზადებული ქვანახშირი უკვე ოდესაშია. ბერლინში ამზადებენ კიევში გასაგზავნად 25 ვაგონი სხვა და სხვა მანქანებით სავსე.

**ბოლშევიკების მოქმედება**

ხარკოვიდან განდევნილ ბოლშევიკებმა ლუგანში შაქრის ქარხანა დაარბიეს. დაიწვა 159 ათასი ფუთი შაქარი.

**მანეთის კურსი**

უკრაინის და ავსტრია-გერმანიის საფინანსო კომისიები შეთანხმდნენ რუსულ მანეთის კურსის გადაწყვეტაზე.

ახალ შეთანხმებით, მანეთის კურსი უდრის $1^1/_8$ მარკას და 2 კრონს. ეს კურსი სავალდებულოა სამხედრო და, ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯებში ცენტრალ სახელმწიფოებთან ვაჭრობაში და ექსპორტ იმპორტაში. დანარჩენ შემთხვევებში კურსი არ არის სავალდებულო და იგი შეთანხმებით სწყდება.

**† ნეჩაი-ლევიცკი**

გარდაიცვალა უკრაინის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნეჩაი-ლევიცკი.

# ფინლიანდიაში

**500 ოფიცრის დახვრეტა**

მას შემდეგ, რაც თეთრ-გვარდიელებმა ტამერფორსი დაიჭირეს, ფინეთში (45—50 კაცი) დახვრიტეს ტყვეებთან ერთად 500 რუსის ოფიცერი, მოხდა საშინელი ბრძოლა, რომელშიაც მოიკლა 4000 თეთრგვარდიელი და გერმანელი.

# ქრონიკა

## თბილისი.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის** მთავრობამ დაადგინა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალეთის ლაშქარს, თუ მან ფეხი დადგა საქართველოს მიწა-წყალზე.

✦ **დიდი ლიტანია.** კვირას, თიბათვის 2 ერევნის მოედანზე დილის 11 საათ. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონი II მიტროპოლიტ ლეონიდის, ეპისკოპოსების და ქალაქის უმაღლეს სამღვდელოების თანმხლებით შეასრულებს დიდ ლიტანიას, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების გამო. ლიტანიის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი მიწოლებით მიმართავს ქართველ ერს.

✦ **სამადლობელი პარაკლისი.** 29 მაისს, დღის 1-ლ საათზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ კირიონ მე-II-მ, თბილისის მიტროპოლიტ ლეონიდი, ურბნელ დავითის და თბილისის სამღვდელოების თანამწირველობით, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. პარაკლისის შემდეგ პატრიარქმა სამღვდელოების თანხლებით საქართველოს მთავრობას მიულოცა დიდი ისტორიული აქტი.

✦ **მზრუნველობის სამინისტროს გაუქმება.** რადგანაც მთავრობამ დაადგინა სახელმწიფო მზრუნველობის საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცეს 29 მაისს მზრუნველობის სამინისტრომ გადასცა. დაარსებულია საგანგებო კომისია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეებისგან შესდგება.

✦ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს შუადღის 12 ს. შესდგება საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

✦ **სარედაქციო კოლეგიის კრება** შესდგება დღეს დილის 11 საათზე. კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

✦ **მუშ. და ჯარ.-კ. დეპ. საბჭოს კრება.** ხვალ, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლის შენობაში შესდგება თბილისის მუშ. და ჯარ.-კ.-დეპუტატების საბჭოს სხდომა.

✦ **ლტოლვილები.** სომხეთა ეროვნულ საბჭოს აცნობებენ, რომ ლორის ხეობაში 10.000-მდე მოიყარეს თავი სომეხ ლტოლვილებმა, რომლებსაც აუწერელი გაჭირვება და შიმშილი დასტყდომიათ თავს.

✦ **რკინის გზაზე.** აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ რკინის გზის ადმინისტრაციას წინადადება მისცა სამხრეთის და აღმოსავლეთის ნაწილებში ვაგონები აღარ გაუშვას, რადგანაც მათი დაბრუნება უკან საეჭვოა.

✦ **გადმოხვეწილები.** 27 მაისს ინგუშთა ეროვნულმა საბჭოს თავმჯდომარემ ზაბოლიევმა მთავრობას დეპეშით შეატყობინა, რომ ინგუშთა ეროვნული საბჭო ყოველ ზომებს იღებს საქართველოს სამხედრო გზით მიმავალ ლტოლვილთა გასაშვებად. საბჭო სთხოვს მთავრობას, ნუღარ გაგზავნის იქით ლტოლვილებს, რადგანაც მათ გავლას დარიალზე ვერ უზრუნველჰყოფს.

✦ **ქართული შრომისა და კულტურის საზოგადოების** საერთო კრება შესდგა სამშაბათს 28 მაისს. მომავალ მუშაობის პლანის დამტკიცების შემდეგ მოხდა გამგეობის არჩევა. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. თ. ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგად კ. მ. ამირაჯიბი, გამგეობის წევრებად: თ. სახოკია, დეკ. ნათიძე, რაზმაძე, იუ. მერიაზ... და ნატროშვილი; კანდიდატებად: წითლაძე, იუ. ...ლაშვილი, ზურ. ...ლისიანი.

✦ **ბენზინის რეკვიზიცია.** აღმასრულებელ კომიტეტის ბიურო სთხოვს თავდაცვის საბჭოს თბილისში ბენზინის რეკვიზიცია მოახდინოს.

✦ **მდგომარეობა შუშაში.** ქ. შუშიდან ჩამოსული ერთი პირის სიტყვით იქ სპარსეთიდან ჩამოვიდა ენვერ ფაშას ძმა ნური-ფაშა. მათ წარუდგა დელეგაციები თათრებისა და სომხებისგან; ათ-ათი კაცი. ბებუთოვი ნური-ფაშას მიესალმა. სომხებსა და თათრებს შორის საუკეთესო დამოკიდებულებაა. ქალაქში სრული წესიერებაა.

✦ **ქონების დაცვა.** მთავრობამ დაადგინა ფოთში თვითმმართველობის თაოსნობით შეადგინოს საგანგებო კომისია ბათუმიდან გამოზიდულ მთელი ქონების მისაღებად. ამ მიზნით ფოთის თვითმმართველობას გადაეცემა ერთი მილიონი მანეთი 600.000 მან. რუსული ფულით.

✦ **ლტოლვილთა საქმეებზე** საგანგებო რწმუნებულმა ტ. გაიმ კავკავიდან მთავრობას შეატყობინა, რომ ლტოლვილები დღეში 400 მეტი არ უნდა იგზავნებოდეს, რადგან ჯერ ერთი წესიერად მოხდეს მათი დაბინავება და მეორეც არ შემოიტანონ სხვა და სხვა ავადმყოფობანი და ლტოლვილთა ყოველ პარტიის გამოგზავნა მე უნდა შემატყობინოთ წინასწარ.

✦ **„და-ძმა"**, რომელიც 26 თიბათვეს უნდა წარმოედგინათ 2 თიბათვისთვის გადაიდო. ძველი ბილეთები გამოდგება. დასაწყისი დილის 1 ს.

## ს. ჭანჭათი

✦ 28 აპრილს (ძველი სტილით) ს. ჭანჭათში თავის ოჯახში, თოკით ხეზე თავი ჩამოიხრჩო არჩილ ნიკოლაძემ. განსვენებული იყო შრომის მოყვარე ადამიანი. მისი ასეთი ტრაგიკული სიკვდილი გულ-საკლავი დარჩა მთელი საზოგადოებისათვის.

✦ 5 მაისს (ძვ. სტ.) შემთხვევით თოფი გავარდა და ტყვია მოუვიდა მოსწავლე გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფეს, მანანა გიორგის ძე ...რიას, რომელიც მეორე დღესვე გარდაიცვალა. ჯანლონიერი ყმაწვილი მანანა დიდი ნიჭით იყო დაჯილდოვებული

და მასთან ენერგიით ეკიდებოდა სწავლა განათლების საქმეს. მისი მოულოდნელი დაკარგვა დიდად საგრძნობი დარჩა მასთან ახლო მყოფ ამხანაგებისათვის.

**დ. სენაკი.**

კვირას, 2 ივნისს (ახ. სტ.), დილის ათ საათზე, ძმ. სანიკიძეების თეატრის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო კრება. ეს კრება მეორედ ინიშნება და წესდების ძალით შედგენილად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

**ს. კინჩხა.**

ქუთათურ მთვრინავთა რაზმის უფროსის ცნობით მარტვილის რაიონის ბოლშევიკები კინჩხაში გამაგრებულან. მათ ხელმძღვანელობს ხონიდან ლტოლვილი აფიცერი ჭავჭანიძე. შტაბი მინგრელსკის სახლში აქვთ მოთავსებული.

**ქ. ბათომი.**

ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით ბათუმში იხსნება ამიერ-კავკასიის ბანკის განყოფილება. ბათომში ამ დღეებში გაემგზავრება ამ ბანკის რწმუნებული.

**ქ. სოხუმი**

ბოლშევიკები ქალაქში აღარ არიან. ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა. ბოლშევიკების შემდეგ სოხუმის მიდამოებში ოსმალთა ჩექმიკები გამოჩენილან.

## კორესპონდენცია

### ზესტაფონიდან

კვირას, მაისის 26-ს, მოხდა საზოგადო კრება ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოსი. განსახილველი საგნები იყო: 1) გიმნაზიების ისტორია დაარსებიდან და სამზრუნველო საბჭოს მოქმედება. 2) სამზრუნველო საბჭოს არჩევანი. თავმჯდომარედ აირჩია კ. მოდებაძე, მდივნად ს. ლეჟავა.

პირველად საზოგადოებას ვრცლად მოახსენებს სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე კელენჯერიძე გიმნაზიების დაარსების ისტორიული წარსული 1917 წლის 11 მკათათვიდან დღემდე. მერმე გიმნაზიის გამგე ბ. კვინიკაძემ ნათლად დაასურათა ამ გიმნაზიების ისტორია სწავლა-აღზრდის მხრივ. აღნიშნა მასწავლებელთა მთელი შტატის მოწვევა სასწავლო წლის თავშივე, ვაჟების გიმნაზიის სამი მოსამზადებელი და ხუთი ძირითადი კლასების გახსნა, მეხუთე კლასის პარალელური კლასის მიმატება, რომ სწავლის გარეშე არ დარჩენილიყვნენ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, რომელთა ცოდნა განსხვავდება გიმნაზიელების ცოდნისაგან, მერმე ამ მეხუთე კლასების შეერთება ცოდნაში დაწევის შემდეგ, მთავრობასთან არა ერთი გზის თხოვნის შემდეგ კრედიტის გახსნა ხაზინიდან მასწავლებელთათვის ე. წ. პროცენტული დამატება, დღიურები, სიძვირის გამო და სხ. შემდეგ ხუთი კლასი გიმნაზიური ქალთათვის, ამ კლასების რის ვაი ვაგლახით უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის და დაქირავებულ შენობებში მოთავსება. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აუცილებლივ საჭიროა მომავალში საკუთარი შენობების აგება ფიზიკურ კაბინეტის და სამკითხველოს შეძენა.

უკანასკნელად მოახსენებს საზოგადოებას საბჭოს წევრი—მოლარე ტ. ნიორაძე ამ სასწავლებლის ფინანსიურ მხარეზე. ამ საგნისათვის ფული მოგროვილია ზესტაფონსა და მის ახლომახლო სოფლებსა და დაბებში 50,000 მან. აქედან სამი წილი ზესტაფონიდან; ამ ფულიდან დახარჯულა 20,000 მან. ინვენტარის შესაძენად, შენობის დასაქირავებლად და სხვა ხარჯებში, დანარჩენი ინახება სალაროში შენობის ფონდათ. მოხსენებელი აღნიშნავს ერთს არა სასურველ გარემოებას ჯერ კიდევ ზოგიერთთაგან ფულების შემოუტანლობას. საზოგადოება ადგენს დაევალოს საბჭოს, რათა მან ყოველივე ზომა მიიღოს ფულების მოკრების შესახებ.

საზოგადოებამ აირჩია სამზრუნველო საბჭოს ოთხი წევრი ფარულის კენჭის ყრით: ტ. ნიორაძე, ვ. ჩხეიძე, ბ. კელენჯერიძე და და კ. მოდებაძე, მათ კანდიდატებად მ. გაჩეჩილაძე და ი. დვნიჯილია, ოთხია ასარჩევი კანონით პედაგოგიურისაგან.

კრების გათავებისას საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა სამზრუნველო საბჭოს.

**ეფ. მც—რე.**


# იყიდება
## ჯვაროსნობის დროის
## იშვიათი
# ხმალი

იკითხეთ: ქართულ კლუბის შტაბის ცხენოსანთა რაზმელი თადეოზ კახიშვილი.

---

# ქართული კლუბი

შაბათს, 1 ივნისს (19 მაისს) გაიმართება

დ. ი. არაყიშვილის

# მეორე კონცერტი

სამს განყოფილებად:

1. ეროვნული სიმღერები. 2. რომანსები. 3. სიმფონიური განყოფილება

სოლისტებად გამოვლენ ეკ. სარაჯიშვილი. ს. გაბაშიძე და გ. ხორინა. სხვათა შორის შესრულებული იქნება პირველად ქართული რაფსოდია და რუსთაველის და ნინოს დუეტი. ორკესტრს ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი.

დასაწყისი საღ. 8 ნახევარ ს. — ადგილების ფასი ჩვეულებრივია

2—952—4 — ქართ. კლუბის ადმინისტრაცია

---

დილის წარმოდგენა

# სახელმწიფო თეატრი

კვირას 2 ივნისს 1918 წელს დილის 12 საათზე კოტე ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართულ სამეფოლოგიით და ეროვნულ

# ჰიმნ-საგალობელთა აკადემია

მრავალრიცხოვანი სიმფონიური ორკესტრისა და ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებული იქნება სხვა და სხვა ავტორების სანიმუშო თხზულებანი:

ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, ქართული მარშები და სხვანი.

დასაწყისი დილის 12 საათზე. — ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

აფიშები არ გამოვა

2—1

---

# ქართული კლუბი

კვირას 2 ივნისს

ქართ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ გაიმართება

# საღამო-მეჯლისი

1 განყ. პირველად თბილისის სცენაზე ახალი პიესა

# გუშინდელნი

კომ. 3 მოქმ. მონაწილეობს ქართული დასი.

2-რე სალიტერატურო განყ. მონაწილეობას მიიღებენ: გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ყანჩელი, პ. იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. გორგაძე, ი. მჭედლიშვილი, ლ. ჯაფარიძე, დ. კასრაძე. დასასრულ

# ვახშამი-კაბარეთი

კაბარე გაიმართება ს. ყიფშიძის მეთაურობით. აგრეთვე იქნება სხვა და სხვა გასართობები: პერიშვილი, ფუშერი, ლატარია, კონფეტები, ყვავილები და სხ. ბილეთების ყიდვა შეიძლება ქ. კლუბის კასაში და სახელდ ძველ წიგნებში. მაგიდები ამ თავითვე უნდა დაიკავოთ ზ. ჩხლაძესთან. ოლღას ქ. სარაჯიშვილის კანტორა 9—12 ს.

1—1 — ქართ. უნივ. სტ. კავშირის გამგეობა

---

# თბილისის საერთო საზაფხულო შენობაში

მიხეილის პროსპ.

ქართული ოპერეტა.

პარასკევს, 31 მაისს, ქართული ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

# არშინ-მალ-ალან

4 მოქ. გაჯიბეკოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

ბილეთები იყიდება კასაში. 2—2 დასაწყისი 8 საათზე.

---

# თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მრეწველთა ფრაქციის წევრთა

# წინასწარი კრება

დანიშნულია პარასკევს 31 მაისს (ახალის სტილით) საღამოს ექვს საათზე სამეურნეო ბანკის შენობაში. სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.

კავშირის წევრებს-მრეწველებს სთხოვენ კრებას დაესწრონ.

2—1633—2

---

# სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა

# გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა.

მისაღები გამოცდები დაიწყება თიბათვის 3-ს II და III განყოფილებებში, I, II, III, IV, V და VI კლასებში. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს.—3 ს. ალექსანდრის ქუჩა, № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

3—1630—3

---

## ექიმი

# მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კოშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

## ექიმი

# დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი ლოდ ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (საიკინის კბილის სამკურნ.).

ტელეფონი 7—38.

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-III რაიონი

აცნობებს თავის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ ჩაწერა ახალი წევრებისა და სხვა და სხვა ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 5—7 საათამდის ტფილისის ქუჩა, № 4 მესამე მომრიგეობელ მოსამართლის დარბაზში ვ. ყიფიანთან.

4—3

---

# საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისის

# ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# ქალაქ თბილისის

# კომიტეტის

ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ მიიღონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

---

# სამკურნალო

## სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ განქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასკინაზი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველ დღე 12—1 საათამდის.

ექ. ახალდიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.

ექ. ბიძლანძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.

ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.

ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.

ექ. ბოგომაზი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.

ექ. მაზრიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე საღ. 3—4 ს.

ექ. სურომსოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.

ექ. მეინაც—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.

ექ. იგანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.

ექ. უალამძაროვი—ქალთა და სადედოო. ყოველდღე 1—2 ს.

ექ. ნოვიცკი—ქალთა და სადედოო. ყოველდღე 2—3 საათ.

ექ. ქალი იოსელიანი. ქალთა და სადედოო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.

ექ. ქალი ფირადოვი—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.

ექ. შამაში—ქირურგიული (ოსტეოპათია). ყოველდღე 11—12 საათზე.

ექ. ფირალოვი—ქირურგიული. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

ექ. ბარნაგა-ტროცკაია—სტომატოლოგიური ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.

ექ. ცანდერი—სტომატოლოგიური ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.

ექ. ძიძილია—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.

ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.

კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.

კბილის ექ. ნურაძოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგეობით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ.

100—91

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეგიანცის

სამკურნალოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირპიჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირპიჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

---

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

# ალექსანდრე დავითის ძის

# ქევხიშვილი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს უშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ხოდს პირდაპირ" ტელეფონი 14—28.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანტონის ძე

# კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

---

## ექიმი

# მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სახსრის სნეულებისას სპეციალურად. ღებულობს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მონ-მონდის" პირდაპირ.

თ—1018—46

## ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—27

## ექიმი

# დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

# ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გრიბოედოვის ქუჩა № 6, დილიჟნ.

ტელეფონი 14—37

1ო—960—55


სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა გამზირის შესახვევი № 4.